



მთავარი კომიტეტის ოფისი

№ 609 ოთხშაბათი, ოქტომბრის 31, 1923 წ.

უფალდებული გზითი

ფასი 400,000

გაზეთი „მემკვიდრე“ ღირს
თვეობრივად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი უფლებად 400,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახაბის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10-84.

განცხადების შავი
1 გვ. 20 კაპ. ჩვენი ნომერი
4 „ 15 „ ჩვენი ნომერი
სამაგისტრო და განცხადების
1 გვ. 20 კაპ. ჩვენი ნომერი
4 „ 15 „ ჩვენი ნომერი

საქ. მემკვიდრე სოც.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს
პარტიულ ორგანიზაციების საშუალოდ, რომ

პარტიის მემკვიდრე

- განსახილველი საკითხები:
1. საერთაშორისო მდგომარეობა.
 2. დამოკიდებულება კომპარტიისთან.
 3. მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ.
 4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
 5. მოხსენებანი ადგილობრივი.
 6. მიმდინარე საკითხები.
 7. არჩევნები.
- წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 100 წევრზე იგზავნება ერთი დ. წევრი. ორგანიზაცია, რომელშიც ითვლება ას წევრზე ნაკლები, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. არჩევნები ხდება ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებაზე.
- ყრილობა გაიხსნება ცენტრალურ კლუბში დღის 12 საათზე.

პროვალ-დემოკრატიული პარტიის ლეგალიზაცია

ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენს დედა ქალაქში ჩატარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სალიკვიდაციო კონფერენცია. უკანასკნელ ხანებში ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება პოლიტიკური პარტიების რღვევის სახით. ისეთი სისტემატიური ჩასიათი მივიღო კერძოდ საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში ანტი საბჭოთა პარტიების დაშლამ, რომელსაც არის. ეს დღი და იმეათი მოვლენები ჩვეულებრივ მოვლენათა რიცხვში შევიტანოთ.

რასაკვირველია დიდი მკვლევარი უმეტესად იქნებოდა გვერდითა, რომ პოლიტიკური პარტიების დაშლამ იწვევდა და განსაზღვრავდა გარე-შე ძალების მომენტს. მსოფლიოში ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მომკიდარიყოს მხოლოდ იმით, რომ მასზედ ძალდატანებას ახდენდნენ.

თუ პარტიის აქვს მტკიცე საფუძველი, განსაზღვრული კლასის სახით, თუ მისი პოლიტიკა ობიექტურად სწორია და გამართლებული სოციალ-ლიზმის მიერ, როგორი ძალდატანებაც არ უნდა მოახდინოთ მასზედ იგი არ დაიშლება. არ მოისპობა, არ მოკვდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური პარტიას არა აქვს მტკიცე საფუძველი და სწორი, მისაღები და გამართლებული პოლიტიკა, მას ვერ უშველის ამა ქვეყნის ძლიერა მფარველობა, იგი ადრე თუ გვიან დასარულდება თავის არსებობას.

ამ რიგად პოლიტიკური პარტიის არსებობა დამოკიდებულია წარმოადგენს პარტიის ემპირიკულ პარტიის დიქტატურის მიხედვით აქ უნდა ვეძებოთ.

რას წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რეალი საფუძველი, როგორი იყო მისი უფლები პარტიის ცოცხალი შემადგენლობა?

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რეალი დასაყრდენს წარმოადგენდა. ბევრი არისტოკრატია, ახალგაზრდათა ბურჟუაზია და მიხრწილი სასულიერო წოდება. პარტია ცდილობდა ამ სოციალური ჯგუფების ინტერესთა დაცვას, მოუხდავად მათი ინტერესების არა იდენტობისა.

არისტოკრატია, უფრო არისტოკრატის ნაშთები არ წარმოადგენდა საგრძნობ რეალ ძალას ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში. აგრარები არ შედგენდა იმ სოციალ ნიადგას, რომლითაც შესაძლებოდა პარტიის არსებობა. ახალგაზრდა ბურჟუაზია ჩვენში მერტაჟს ჰქონდა, უნაბიო და უსახო იყო. ჩვენში სექსუალური კაპიტალი იყო უმთავრესად და ჩვენი ბურჟუაზია არსებითად სექსუალური ელემენტებს წარმოადგენდა. ამდენათვე ძლიერი კლასობრივი საფუძველი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას არ გააჩნდა არც ბურჟუაზიის სახით.

ჩვენ გზა

მსოფლიო ომი და დიდი რევოლუცია უდიდესი გამოცდა იყო რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ პოლიტიკურ პარტიებისათვის.

უმთავრესი კითხვა, რომელიც მათ რევოლუციამ დაუდგინა, იყო შემდეგი:

— როგორი ხასიათის არის რუსეთის რევოლუცია, ესე იგი, რომელი კლასის ბატონობით უნდა დამთავრდეს ის.

სწორედ რუსეთის რევოლუციის შეფასებაში, მისი აზრის გაგებაში მოიტეხა ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ კისერი და საზღვარგარეთი ცხოვრებისა.

რუსეთის ესერები და მენშევიკები თანამედროვე რევოლუციის ბურჟუაზიულ რევოლუციად აღიარებდნენ და რა თქმა უნდა თავიდანვე წინააღმდეგნი იყვნენ პროლეტარიატის ძალა-უფლების დამყარების.

ეს პარტიები, ნებისთ თუ უნებლით, შეცდნ ამ უმთავრეს კითხვის გადაჭრაში, რადგან მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს რევოლუციაში მონაწილე კლასებისა და ჯგუფების ძალა განწყობილება.

რუსეთის რევოლუციის პროლეტარიატი, მუშათა კლასი ხელმძღვანელობდა, ბურჟუაზიის მონაწილეობა რევოლუციაში, ბურჟუაზიისგან გაღებული მსხვერპლი ძალზე უნაშვანო იყო. აქედან საყვარელი ბუნებრივი და ლოგიკური, რომ გამარჯვებული მუშათა კლასი ცხოვრების მესაქეობას, პოლიტიკურ ძალა-უფლებას ბურჟუაზიის ვერ დაუთმობდა.

პოლიტიკური ბრძოლა, ეს მეზობლური თავაზიანობა ხომ არის, რომ ბრძოლით მოპოებული უფლებანი ერთმა კლასმა მეორეს დაუთმოს!

სამაგიეროდ ბოლშევიკების შეხედულება მიმდინარე რევოლუციაზე საყვარელი გამართლდა.

„მუშათა და გლეხთა მთავრობა და პროლეტარიატის დიქტატურა“

(რადიოთი)

ამ. ზინოვიევი თავის წერილში „გერმანიის რევოლუციის პრობლემები“ შემოსწავლის სათაურით სწერს:

„გერმანიის მთლიანი ფორმის ტაქტიკა გერმანიის ეხლა გერმანიის მუშების სამოქალაქო ომის-გზით წასვლას საჭიროებისაგან, თუნდაც რომ მოელოდა სოც.-დემოკრატიამ გერმანიის გა-მოსტეგას მთლიანი ფორმის შექმნის სურვილი. ესევე დებულება ვრცელდება აგრეთვე „მუშათა-გლეხთა მთავრობის“ ლოზუნგსაც.

მუშათა მთავრობის ფორმულა შემადგენელი ნაწილია მთლიანი ფორმის ტაქტიკისა. ამ ფორ-მულის ამოცანა იყო ლოზუნგი „პროლეტარიატის დიქტატურა“ ჩამოყალიბებისა ისეთი ფორმით, რომ იგი მისაღები ყოფილიყო არა მარტო ავან-გარდისათვის, არამედ პროლეტარიატის არიერგარ-დის საშუალო ფენებისათვისაც. ვინც ამ ფორმულის სხვა მნიშვნელობას აძლევდა, ვინც ფიქრობდა, რომ საქმე ეხებოდა ისტორიული განვითარების მთელს ეტაპს, ვისაც სწამდა, რომ მუშათა მთავრობის და-რსება შესაძლებელია პარლამენტარული კომბინა-ციების გზით, იგი ამბიჯებდა კომინტერნის აზრს.

პროლეტარიატის დიქტატურას ცხნითაც ვერ შეგუდები: თუ გსურს მუშათა კლასის განთა-ვისუფლება—ემზადე პროლეტარიატის დიქტატუ-რისათვისაც საბრძოლველად. მხოლოდ როგორც გამონაკლისი, ბედნიერ შემთხვევათა წყალობით, შესაძლებელია მოკლე ხნით საშუალო მუშათა მთა-ვრობის არსებობა, რომელიც იქნება არა პროლე-ტარიატის დიქტატურა, არამედ პირველი ნაბიჯი მასთან მისასვლელად. მუშათა კლასის განათავი-სუფლებლად, სხვა ფორმა, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა ვერ არ არის გამომავალი. მუშათა მთავრობა მსუვედონიშია პროლეტარიატის დიქტა-ტურისა. „მუშათა მთავრობის“ ფორმულა ადვილად პოულობდა მისავალს სოციალ-დემოკრატიულ და უპარტო მუშათა მასებში, ეს ანბანის პირველი ასოები იყო. დაისწავლეს რა ასო „ანი“, მუშები, ჩვენის ხელმძღვანელობით თანდათანობით სწავ-ლობდნენ მთელს ანბანს.

„მუშათა მთავრობის“ ფორმულა მისაღები იყო მხოლოდ ერთი კლასის—მუშათა კლასის—ფარ-გლებში. „მუშათა და გლეხთა მთავრობის“ ფორ-მულა კი აყენებს უფრო დიდ ამოცანას: იგი ვრცე-ლდება 2 კლასზედ. ეს არის ცდა, არამც თუ მარ-ტო მუშათა კლასი წამოსწიოს, არამედ გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაითრიოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის, ბრძოლაში. რაც ითქვა მუშათა მთავრობაზე, იგივე ითქმის მუშათა და გლეხთა მთავრობაზედაც.

მუშათა და გლეხთა მთავრობის შესაქმნელად საჭიროა ჯერ ბურჟუაზიის დამარცხება და ბურ-ჟუაზიული მთავრობის მოსპობა. ბურჟუაზია და მე-მამულები თავის ნებით არასდროს არ დაუთმობენ ძალა-უფლებას არც მუშათა, არც გლეხთა და არც მუშათა და გლეხთა მთავრობას.

ბოლშევიკები თავიდანვე გარკვევით ამბობდნენ, რომ რუსეთის რევოლუცია მუშათა კლასის ბატონობით უნდა დამთავრდეს.

აი, ამაშია ბოლშევიკების დამსახურება რევო-ლუციისა და პროლეტარიატის წინაშე და ამის არ დანახვა, დღეს მაინც, ბრძანა არ ეპატიება.

რა თქმა უნდა, რევოლუციის მსვლელობაში ბოლშევიკებმა ბევრი რამ შესცვალეს თავიანთ პროგრამაში, ბევრი უარყვეს და ახალი მიიღეს. ვიტყვით მეტსაც. ბოლშევიკებმა უარყვეს თავისი მშობელი ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტია და ახალი კომუნისტური პარტია დაარსეს.

ამ ახალი პარტიის დაარსება სწორედ ქვეყნის დაქვეა იყო ბევრ დოგმატიკოს სოციალ-დემო-კრატიისათვის, მაგრამ ქვემარტ რევოლუციონერ-რისათვის ეს ადვილი გასაგები იყო.

პოლიტიკური პარტია, თუ მას პართლა უნდა ცხოვრებაში ისტორიული როლი ითამაშოს, ერთხელ მიღებული დოგმებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველდღიური კითხვების გადაჭრაში, არამედ აბო-მოქმედებულ ცხოვრების ტალღებში უნდა იკვლევდეს ახალ გზას, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ იყო ის გზა წინად ნაგალი.

სოციალისტ-რევოლუციონერების მიწის სო-ციალიზაციის განხორციელება ბოლშევიკებს ხელად წილად, ვინაიდან ესერული მთავრობა სრულიად არ ფიქრობდა საკუთარი აგრარული პროგრამის ცხოვრებაში გატარებას.

ეროვნული საკითხი ბოლშევიკებმა სოც.-დემოკრატიის პარტიის პროგრამის მხგავხად

გადასტურეს და დღევანდელი ს. ს. რ. კავშირი სხვა რა არის, თუ არა ამ პროგრამის განხორციე-ლება.

კავალაფერი ეს, რასაკვირველია, სრულიად არ ამცირებს კომუნისტურ პარტიას, პირიქით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეს პარტია კვალ და კვალ მიჰყვება ცხოვრების მიმდინარეობას და თავის მო-ქმედებას ამ ცხოვრების სინამდვილეს უფარდებს.

ვინც ასე არ მოიქცა, ის ცხოვრებაში გარდა, ან და ცხოვრებას ფეხ-ქვეშ მოიქცა.

საქართველოში სამშობლო ხელისუფლების დამ-ყარების დღიდანვე მემარცხენე სოციალისტ-დემო-კრატიის პარტია გარკვევით და გადაჭრით და-ადგა კომუნისტური პარტიისთან დაახლოების, ხე-ლის შეწყობის გზას.

ეს პარტია საყვარელი დარწმუნდა იმაში, რომ სხვა და სხვა ლაპარაკი კომუნისტების ზრახვებისა და მოქმედების შესახებ თავისუფალი საქართველოს მიმართ სინამდვილისაგან ძლიერ შორს იყო და ვი-საც ქართველი ხალხის ბედი, მსოფლიო რევო-ლუციის ბედი აინტერესებს, სწორედ ამ პარტიას უნდა აზოუდეს გვერდში.

უნდა აშკარად ესთქვათ, რომ მთელი წარ-სული ისტორია მემარცხენე სოც.-დემოკრატიის პარტიისა, ეს არის ისტორია კომუნისტურ პარ-ტიისთან თანამშრომლობისა, საქართველოში სამ-შობლო ხელისუფლების უანგარო სამსახურისა.

ბევრისთვის, შესაძლოა, ეს ჩვენი აღსარება გასაკვირი იყოს, მაგრამ ვინც საქმეს უფრო ღრმად ჩაუყვრდება, აქ გასაკვირი არაფერი არის.

კომუნისტური პარტია იბრძვის მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის კიდევ მეტი საბუთი აქვს ამ მსოფლიო რევოლუციისათვის ჩაებას, ვინაიდან ჩვენსთანა პარტია ერის ბედი, მისი მომავალი, საყვარელი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბედზე დამოკიდებულია.

კომუნისტური პარტია იბრძვის მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის არ შეუძლია მთელი თავისი არსებით არ შეუერთდეს ამ ბრძოლას, ვინაიდან იმპერიალიზმის გამარჯვება დალუბდა იქნებოდა არა მარტო სოციალიზმის, არამედ ყველა პარტია და დაჩაგრულ ერების.

ერთი სიტყვით მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის განცხადებით თანამშრომლობა კომუნისტურ პარტიასთან თავისთავად წამოაყენა ამ პარტიის კიდევ უფრო დახლოების, გაერთიანების საკითხი და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, უიპველია, სასარგებლო იქნება მსოფლიო რევოლუციისა და მუშათა კლასისათვის. როცა ამას ვამბობთ, რა თქმა უნდა ჩვენ რეალისტურად გვაგონიწყდება ის გაუგებრობა, ხშირად გამწვავებული დამოკიდებულებაც, რომელიც სოც.-ფედერალისტთა მემარცხენე პარტიას და აქაურ კომუნისტთა შორის ჰქონდა ადგილი წარსულში.

უთანხმოება ჩვენს შორის, რასაკვირველია, არ გამოუწვევია პროლეტარიატის დიქტატურისა და პარლამენტარიზმის საკითხს, არც წარმოების ნა-

ციონალიზაციის შესახებ არ გვექონია დავა კომუნისტებთან.

მაგრამ ჩვენ ყოველთვის პირველ რიგში ვაყენებდით დაჩაგრულ ერების საკითხს საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს ეროვნული თავისუფლება ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო.

სწორედ ეს ერთად ერთი ეროვნული საკითხი იყო, რომელიც ჩვენ კომუნისტებთან გვაშორებდა და ამავე დროს ეს საკითხი იყო ჩვენი მიმართულების უმთავრესი დასაყრდენი ბაზა.

კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობამ ეს საკითხი დამაკმაყოფილებლად გადასჭრა და ამერიკიდან ჩვენს გვერდით უფრო ძლიერმა კომუნისტურმა პარტიამ დაიჭირა ადგილი.

ეროვნული საკითხი, რომელიც 12 ყრილობაზე გადაიჭრა, ასე რომ გადაჭრილიყო, წინეთ არავითარ გაუგებრობას და უთანხმოებას კომუნისტებსა და მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა შორის ადგილი არ ექნებოდა.

ახე რომ მე-12 ყრილობის მიერ ეროვნული საკითხის გვერდნად გადაჭრა ხასხასებით წაშალა ყოველივე განხილული ხაზი ამ ორ მიმართულებათა შორის.

ხოლო ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება კომუნისტურ პარტიასთან მივიყვანს არა მარტო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს, არამედ ჩვენი ხალხის და საზოგადოდ, ყველა დაჩაგრულ ხალხების ყველა ცხოველ და კემზარტ სოციალისტ-რევოლუციონერ ძალებს.

ერ. ტორაძე.

მეგობრული რჩევა და ისტორიული სინამდვილე.

ყოველ მენშევიკების საინფორმაციო ბაუროს ორგანო „მოამბეში“ (№ 7) მოთავსებული არის ჩვენი პარტიის მიმართ შემდეგი წერილი, რომელიც მოგვყავს საესკივით:

„დავანებოთ თავი დავას, თუ ვინ იყო წინეთ უკეთესი რევოლუციონერი... დღეს არ გვცალია ამისთვის... ავი და კარგი, დღე, ისტორიამ განსაჯოს... მისი საქმე იყოს ამის გამოკვლევა. დღეს კი ბრძოლაა საჭირო... მშრომელი ხალხის მთლიანი ფრონტი, ერთი ენა, ერთი გზა, მკდრო, ფოლადისებური მავარი რიგები...—აი რა უნდა დაუპირდაპირათ საერთაშორისო რეაქციას... ევროპაში უკვე ჩამოკრა სოციალური რევოლუციის ზარებმა... 1915 წელს როზა ლიუქსენბურგის გამოცხადებული სიტყვა:

— სოციალიზმთან თუ იმპერიალიზმთან! დღეს უფრო მკაფიოდ გაისმის მთელს მსოფლიოში... ერთი გზაა სოციალიზმისკენ, მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. მეორე გზაა იმპერიალიზმის, ფაშისმის, შავი რეაქციის... შუა-გზა არ არსებობს... დღეს ორი გზა ებრძვის ერთმანეთს... გაჩაღებულია სამყდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მათ შორის... და ამ ბრძოლა დროს არ გვცალია, არ გვაქვს დრო ვიკამათოთ ჩვენ რევოლუციონერი გეგმავლები... თუ თქვენც ამ ბრძოლაში მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ დგებართ, დროა დანებოთ თავი უნიკალურ კამათს, და ვიმეცადინოთ ვაგამართოთ ეს ფრონტი... 12 ათასი ძველი მებრძოლის გადმოსვლა მე-3 კომინტერნის დროშის ქვეშ, ეს დიდი ისტორიული აქტია.

1919 წლის წერილებიდან

კაპიტალიზმის დეგენერაცია.

მღვდელ გ. ლასხიშვილს *)

მეტად რთულსა და მძიმე ხანაში ცხოვრობს ჩვენი ხალხი. ქართველობის მასსა ცხოვრების უღლის ქვეშ გმინავს და მრავალი ადამიანი ქუჩაში გამოდის ხელგამწვდომი მოწყალების მისაღებად. ოთხი წლის ომმა, ორი წლის რევოლუციამ სულ მთლად დაქანცა სახელმწიფო, გაღატაკა ქვეყანა ყველგან გაქარვება, მწუხარება და ვაგება. ასეთ მძიმე პირობებში არსებობს საქართველოს რესპუბლიკაც. და ჩვენ გაუსწორებელი მოლატენი ვიქნებოდით ჩვენი ხალხისა, ჩვენი თავისუფლებისა, რომ ერთი წუთით მაინც დავმალეთ: რუსეთის თვითმპყრობელთა დახმარა. გაქარვებამ, პურის ნაკლებობამ, სიღვიძრემ და ამავე სასურსათო და საფინანსო გაჭირვებამ სულს დაღვეს ჩვენი რესპუბლიკა... თუ...

დაახ, თუ... და კიდევ წერტილები... ნება მომეცით ჯერ საგანს ისე შევხეხო, როგორც ეს საკითხის სათანადო გაშუქებისათვის არის საჭირო და მაშინ პასუხსაც მივცემა საბედისწერო „თუ...ს, მაშინ მარტყვად დავასახლებთ თუ რა გზა უშველის ჩვენს რესპუბლიკას, რა პოლიტიკა დაიხსნის მას გაჭირვებიდან.

საქართველოს სიკაცხლის აუცილებელი პირობა სურსათის და ფინანსების მოგვარებაა, მაგრამ ნუ თუ ყველა არ ხედავს, რომ ამ წყაროს აღმოჩენა საქართველოს არას გზით არ შეუძლიან, რომ ჩვენ ბლოკადის ბრძალებში ვართ და არსით არის ხსნა? ნუ გგონიათ, რომ ბლოკადი გვაქვს ბოლშევიკებიდან და დენიკინისაგან, სომხეთიდან და ადერბეიჯანიდან, ფაქტური ბლოკადი შექმნილია მთელი კაპიტალიზმისათვის, მსოფლიოს კაპიტალისტური კოლტურისათვის და ამ ბლოკადის დარღვევა კაპიტალიზმს აღარ შეუძლიან, ის საღსარი აღარ მოეპოვება კაპიტალიზმს, რომელიც საჭიროა ყველა ქვეყნის დაკმაყოფილებისათვის. თქვენ გგონიათ, რომ ფინანსიურად და მატერიალურად მარტო საქართველოა გაჭირვებული? არა, მთელი ევროპა დღეს ფაქტურად გაჭირვებულია, გაუცქვნილია და ის ქვეყანა, რომელიც გუშინ გავწვდიდა რკინას, ფართალს, პურს და ტყავს დღეს თვითონ არის უტყავოდ, უპუროდ და ურკინოდ დარ-

*) დაბეჭდილია გაზ. „სახალხო საქმე“-ში, მარტი, № 487. ეს ძღვენი პასუხი იყო გ. ლასხიშვილის ერთს სიტყვაზე. გადმობეჭდილია სრულიად უცვლელად.

ჩედ.

საქართველოს გარეთი ნაწილ დემოკრატიულ პარტიის რაზმული

საქართველოს გარეთი ნაწილ დემოკრატიულ პარტიამ თავის სალიკვიდაციო ყრილობაზე მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

საქართველოს გარეთი ნაწილ დემოკრატიულ პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა კავშირი) ყრილობამ მოისმინა მოხსენება ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და მიიღო მხედველობაში, რომ:

1. რომ მთავარი მიზანი ეროვნული მიმდინარეობისა საქართველოში იყო ქართველი ხალხისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება;
2. რომ რევოლუციის პროცესში წარმოებულმა მოვლენებმა ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმე მტკიცე ნიადაგზე დააყენა და საქართველოს დამოუკიდებლობის განხორციელება თვით მმართველი პარტიის პრობლემად აქცია.
3. რომ არსებული საბჭოთა სისტემა მმართველობისა და პროლეტარიატის დიქტატურისა

და ამ აქტს უნდა მეტი სიფრთხილით და თავდაპირველ მოპყრობა...

რევოლუციონური რიგების გამაგრება, გაკეთება ჩვენ უნდა გვახარებდეს და გვაქნებდეს ახალი ბრძოლისთვის...

ამ რევოლუციონერ გზაზე ჩვენცა და თქვენცა სრულიად ხელჩაკიდებულნი მივდევართ კომუნისტებთან ერთად...

ჩვენი გზა ერთია... მისი უარყოფა შეუძლებელია...

განსხვავება თქვენსა და ჩვენ შორის მხოლოდ ერთია...

ჩვენ მარქსისტები ვიყავით და ვრჩებით მარქსისტებათ.

შეიძლება ჩვენ გადაუხვიეთ რევოლუციის პროცესში ამ მარქსიზმის გზას, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დღეს მაინც დავბრუნდით ჩვენს ძველ მარქსისტულ და სოციალისტურ ოჯახში...

თქვენ არ იყავით მარქსისტები. არც დღეს სთვლით თავს მარქსისტებათ...

მაგრამ თქვენ მიიღეთ რევოლუციონერი მარქსიზმი, როცა ყველა კითხვებში (პრინციპალურ—ტაქტიკურში) ერთად ხართ კომუნისტურ პარტიასთან.

და დღეს ყოველგვარი განხილვები ჩვენს შორის თითქმის სრულიად წაშლილია.

ჩვენ ვდგავართ ერთ გზაზე და მივდივართ ერთი მიზნისაკენ.

ბრძოლის მეთოდი დღეს ჩვენ ერთი გვაქვს.

ჩვენში, სრულიად უარყოფს ამავე დროს და ამავე პირობებში არა სოციალისტური პარტიები, პარტიის არსებობას.

4. რომ ასეთი პარტიის არსებობას და აქტიურ მოქმედებას წინააღმდეგ არსებული საბჭოთა ხელისუფლებისა დიდი ზარალი და მსხვერპლი მოაქვს ხალხისათვის, დაადგინა:

1. საქ. დემოკ. პარტიის მიერ-გაცემული მანდატები გაუქმებულ იქნას ყოველგან.
2. საქ. დემოკ. პარტიის კავშირი „პარტიტის“ კომიტეტთან მოისპოს.
3. საქ. დემოკ. პარტია (გარეთ. ერ. დემ. ეროვნული რად. დემ. და უპარტიოთა კავშირი) გამოცხადებულია დაშლილად, და ამის შემდეგ არავის არა აქვს უფლება იმოქმედოს პარტიის სახელით.
4. საქ. დემ. პარტიის ყრილობა მოუწოდებს პარტიის ყველა ყოფილ წევრებს ხელი შეუწყოთ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობითი მუშაობაში.

ამიტომ ჩვენ, ყოველი მენშევიკები სრულიად გვერთინდით კომუნისტურ პარტიასთან.

როცა დავრწმუნდით, რომ მისი გზა, ხაზი, გეზი, მეთოდი ბოძოლისა სწორი იყო, ჩვენ ის მივიღეთ და შევეერთდით ამ პარტიას.

ამ გზაზე დადგა 5 ათასი ახალგაზრდა მარქსისტები.

თქვენ კი ყველაფერი ეს მიიღეთ, მაგრამ მაინც განზე დგებართ, ცალკე პარტიაში ზიხართ...

ეს არაა ნორმალური მოვლენა...

თქვენი ეხლანდელი ხაზის ლოგიკური დასკვნაც უნდა იყოს კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანება...

თუ დგებართ პროლეტარიატის დიქტატურაზე, იზიარებთ რ. კ. მ. მე-12 ყრილობის დადგენილებებს ეროვნულ საკითხში, თუ ხართ დარწმუნებული, რომ სოციალისტური რევოლუციის შტაბში მხოლოდ მე-3 ინტერნაციონალია, — ზედმეტი ბარჯია და საერთო ფრონტის შექმნის საქმეში ხელშეშლელია პარალელური პარტიის არსებობა...

ამიტომ ჩვენი მეგობრული რჩევაა:

— გავამაგროთ ის პარტია, რომლის ხაზი გააშაბოდა ისტორიამ. შევეერთდით თქვენც ამ პარტიას. და მოვსაოთ ყოველივე კამათი იმის შესახებ, თუ ვინ როგორი რევოლუციონერი იყო წინეთ... ამის გამორკვევა-დაფასება მივანდოთ ისტორიას (ხაზი ჩვენია მე-3.)

გულემაში. ტრესტები არიან დღეს რეგულიატორები მთელ წარმოების და ვინ არ იცის, რომ ტრესტებმა შესძლეს კაპიტალიზმისათვის გამოეშორებინათ ის პერიოდული კრიზისები, რომელშიც მარქსის იმედი ჰქონდა, რომ კაპიტალიზმი დაიღუპოდა. აი ეს ტრესტებია მიზეზი ყოველ უბედურების, ისინი ხელსაყრელია ადვილად შეიქმნას საზოგადოებრივი აწვევები სიჭარბის და აღიდგენ თავიანთ სარგებელს იმავე ლიტრის გადმოცემით ერთი წლის განმავლობაში ომად რკინის მიღებაზე ტრესტებმა ფასი გააღიდეს ასი პროცენტით, ძაფზე—100 პროც. მ. მ. 44 კაპ. შპარი აიყვანეს მ. მ. 09 კაპიკამდე. ამ სიჭირის იმიტომ ჰქონიან მრეწველობის დაქირავებული სარდლები, რომ არაჩვეულებრივად გააღიდონ ზედმეტი სარგებელი, და მართლაც, ყველა ეკონომისტს კარგად მოეხსენება, რომ ზედმეტ სარგებელს შეძენაში ტრესტებმა დიდი ნიჭი გამოიჩინეს.

მრეწველობის სრული სინდიკალიზაცია კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვაა, აქ არის მისი აპოგეა. მთელ კაპიტალიზმს დღეს ტრესტების საერთაშორისო ორგანიზაცია განაგებს, დაქირავებული დირექტორები, დაქირავებული ინჟინრები, დაქირავებული ბუხალტრები. კაპიტალიზმის ეს წყობილება დღესდღეობა რეაქციონერი. ჩვენ ვიცით, რომ ახალი კაპიტალიზმი იყო ამავე დროს ხანა კაპიტალისტებს შორის კონკურენციის, პერიოდული ტენიკური და კულტურული გაუმჯობესებისა, მაგრამ პარტებმა და ტრესტებმა მოსპო ეს ალღო წინსვლისა—კონკურენცია და თანამედროვე ხანა დეგენერაციის ხასიათით გაჟღერდა. ყოველი რევოლუცია, როცა ამბობს: კაპიტალიზმის პირველი ხანა იყო ნოვატორული, მაგრამ ეხლა კი იგი მიზნისეზური, უშინაასო, რეაქციონერი და რეტროგრადული. წინად კაპიტალიზმი ოიბერალიზმით მოქმედებდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ დღეს კი ის უკავშირდება ფეოდალურ ელემენტებს ლიბერალიზმის მოსასპობად, ერთი სიტყვით, თანამედროვე კაპიტალიზმმა მიიღო აშკარა ფინანსიურ და ინდუსტრიულ ფეოდალიზმის ხასიათი. თანამედროვე ომის დროს კაპიტალიზმის ეს ტენდენცია კიდევ საარაკო შეიქმნა და მიიღო სახელმწიფოს საშუალებით მონოპოლიტური ხასიათი. რუსეთის იმპერიული ორგანიზაცია „ოსოტობოში“, „ოტობოში“, „ენტროსასიში“, „ენტროპოლი“ ან დიდი ტრესტები „პროდომები“ და სხვა აშკარად მოწმობს უდიდეს მრეწველობის კოლექტივიზაციას. გერმანიაში სახვებით დასრულდა ეს პროცესი და ეკონომისტები გერმანულ ეკონომიკას ბურჟუაზიულ სოციალიზმს, კატორღულ სოციალიზმს უწოდებენ. ჩანასახი ასეთი წყობილებისა, მრეწველობის და

ქართული რევოლუციის 6 წლის თავისათვის

ქართული რევოლუციის 6 წლის თავისათვის

შემდეგ პრესაში „მოამბეს“ მოყვას ჩვენი გაზეტი მოწინავე წერილიდან აღვიღებთ, რომელშიც ჩვენ აღვნიშნავდით, რომ

„წარმოადგინა განმარტებული გზები ჩვენსა და კომუნისტებს შორის, დაეკარგა მნიშვნელობა „მარტოხელის რაზმის“ არსებობის მოსაზრებას“, და თავის მხრივ დასძინა:

„ჩვენ გვგონია, რომ მემარცხენე ს.ფედერალისტთა პარტიის მიერ აღებული გეზი სწორია დღევანდელ პირობებში და არა მარტო სწორია, არამედ ერთადერთი გამოსავალი იმ პარტიის და გზისათვის, რომელიც სდგანან პროლეტარიატის დიქტატურის გზაზე მე-3 კომინტერნის დროის ქვეშ.“

ჩვენ სასტიკი ვეთანხმებით „მოამბეს“ იმას, რომ დღევანდელი მომენტი არ მოითხოვს ძველ ანგარიშებს გასწორებასა და დავას იმის შესახებ, თუ ვინ რა იყო წარსულში, მით უფრო, რომ ამ დავას წარსულში მეტად სექტანტური ხასიათი ჰქონდა და გაუგებრობაზე იყო აღმოცენებული. დღევანდელი მომენტი დაიწყო მოითხოვს საბჭოთა სისტემის ნიადაგზე და კომინტერნის პლატფორმის მაღარებელ ყველა რევოლუციონერ პარტიების გაერთიანებას ერთს მტკიცე ორგანიზაციაში: ფაქტობრივად ეს პროცესი უკვე ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში და დიდი კომპარტიის პერ-ქვეშ და მის ოჯახში თავს იყრიან ყველა ნამდვილი და გულწრფელი რევოლუციონერები. ჩვენი მემარცხენე ფედერალისტების გზაც ამ დიდ ოჯახისაკენ არის. ჩვენ ამას პაზუსებით ვამბობდით და დღესაც ვამბობთ. ამიტომ ძველი ანგარიშების გახსენებას, მართლაც შეუძლია ერთგვარი ზიანი მიაყენოს ამ დიდ პროცესსა და ერთგვარი ფსიხოლოგიური რეაქცია შექმნას პარტიებში.

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ღირებულების ფაქტი. ჩვენი პარტია არ გამოსულა და არ აღზარდა მარქსიზმის სკოლაში; ტრადიციულად მან მარქსიზმის საწინააღმდეგო დეზულებები შეითვისა; მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე არ ყოფილა არც ერთი პარტია, რომელსაც დაცვას და მოეწონებოდა ბოლშევიკების პროგრამა და პოლიტიკა გარდა მემარცხენე ს.ფედერალისტებისა. ჩვენ არ ვიყავით მარქსისტები, მაგრამ ჩვენმა ჯგუფმა ბოლშევიკების გამოვლითა და შემდეგ ოქტომბრის გადატრიალებიდანვე სავსებით მხარი დაუჭირა მათ პოლიტიკას და ძველი ფედერალისტების ოჯახში ენერგიულად შეჰქონდა საბჭოთა სისტემის, დიქტატურის, სოციალისტური რევოლუციისა და კომინტერნის ორიენტაციის იდეები. ამ დღეებში ოქტომბრის რევოლუციის 6 წლის თავია და ჩვენც თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენმა პოლიტიკამ საესებოთ გაიმარჯვა.

გარდა ამისა, 1921 წლის საქართველოში მომხდარ გადატრიალებიდან ჩვენი პარტია ფაქტობრივად და ფორმალურად დასდგა კომპარტიის რიგებში და გაიზიარა ყველა მისი მთავარი პოლიტიკური გეგმები, მაშინ, როდესაც სხვა პარტიები თავიდანვე აბრ-საბჭოთა პოლიტიკურ კოალიციაში მოხედნენ და ყოველგვარი საშუალებით ებრძოდნენ არსებულ ხელისუფლებას.

ყოფილ მენშევიკებს დასჭირდათ ოქტომბრის გადატრიალებიდან 6 წელი და საქართველოს რევოლუციიდან სამი წელი, რომ შეეგნათ და გაეგნათ მომხდარი ოქტომბრის დიდი ისტორიული ღირებულება, საბჭოთა სისტემის, დიქტატურისა და კომინტერნის დიდი როლი საერთაშორისო რევოლუციაში. ჩვენ ყოველთვის ესენი დიდი ხანია ვიცოდით, თავიდანვე მის ეფესურებოდათ და მომავალშიც ამ იდეების ერთგულნი ვრჩებით.

3 ნოემბერს—იანვარის ღია კრებებზე ჯარის ნაწილების თანდასწრებით მოხსენებები შემდეგ თემაზე:

„ოქტომბრის რევოლუციის 6 წლის თავი და გერმანიის ამბები“.

4, 5 და 6-ს მიტინგები წარმოებებში. 6-ს საღამოს ყველა მუშათა, სახენძრო და ახალგ. კომკავშირის კლუბებში მოგონებათა საღამოები, წარ-

1 რაიონი შეკრების დრო დილის 8 საათი. გამგზავრების 8 ნახ. საათი.	
2 " " " " 8 ნახ. ს. " 9 " " "	
3 " " " " 7 " " " 8 ნახ. " " "	
5 " " " " 9 " " " 9 ნახ. " " "	

რაიონებში მიტინგები არ იმართება, რათა არ დაიგვიანონ ალუმენი. შეკრებები მუშაობის რიგებში დაიძვრან დროებით, მუსიკით და სიმღერით ალუმენის ადგილისაკენ. 1 რაიონი დადგება დაწყებული ახალ მუშეობით სახალხო კომისარიატის პირდაპირ. 2 რაიონი ჩრდობა პირველის შემდეგ ალექსანდრეს ბაღთან, 3 რაიონი—მუშათა სასახლისთან და 4-ე რაიონი საქ. კომპარტიის ცენტრთან. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატთან მუშაობა ყველა სასწავლებლებში—უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური, ამიერ-კავკასიის კომუნის-ტიკი.

მოღვენები, კონცერტები ზედმიწევნით რევოლუციონური შინაარსით.

7-ს დილით—დილის 11 საათზე ალუმენი მოთა რუსთაველის პროსპექტზე. ალუმენი მონაწილეობას იღებენ: ჯარები, მუშათა ორგანიზაციები, სასწავლებლები, ახალგაზრდათა კომკავშირი და სპარტაკი.

მუშათა ყველა ორგანიზაცია ახალგაზრდათა კომკავშირთან ერთად იკრიბებიან თავიანთ რაიონებში:

1 რაიონი შეკრების დრო დილის 8 საათი. გამგზავრების 8 ნახ. საათი.	
2 " " " " 8 ნახ. ს. " 9 " " "	
3 " " " " 7 " " " 8 ნახ. " " "	
5 " " " " 9 " " " 9 ნახ. " " "	

ტური უნივერსიტეტი, მუშათა ფაქულტეტი, ტიპ-ნიკეები და შრომის სკოლები.

დილის 10 საათისათვის ყველანი უნდა იყვნენ ალუმენის ადგილას.

7-ს საღამოს ყველა თეატრებში, ცირკებში, კინოებში უფასო სანახაობანი იმ თეატრებსა და კლუბებში, რომელნიც ცენტრიდან დაშორებული არიან. გაიმართება კონცერტები და წარმოდგენები. საღამოზე ილიუშინაცია და მუშაობები.

ოქტომბრის დღესასწაულის მომწიფობი კომისია.

საბჭოთა ხალი არჩევნები

ნოემბრის 1-დან იწყება საბჭოთა არჩევნები, პირველი საბჭოთა არჩევნების ჩატარებიდან ორი წელი სრულდება.

ამ ხნის განმავლობაში საბჭოებმა შესძლეს თავის დანიშნულების შესრულება. გამაგრდა და გამტკიცდა სახელმწიფოებრივი ცხოვრება. მოწესრიგდა ის ანორმალური მდგომარეობა, რომელიც შექმნილი იყო ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილების დამყარებისას. მაქსიმალურ შედეგზე მივალდით ჩვენი სამეურნეო ცხოვრების აღორძინების საქმეში. ჩატარდა აგრარული რევოლუცია, გლეხმა მიიღო მიწა. ერთობლივად შევსდეთ აღმშენებლობის მტკიცე ნიადაგზე.

პოლიტიკურად ამ დროს წლის განმავლობაში დაიშალა ანტისაბჭოთა პარტიების კოალიცია. ხალხი, ფართო მასა ჩაება სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის პროცესში.

ასეთ პირობებში სდგება საკითხი საბჭოების ხელ ახალი არჩევნების შესახებ. საქართველოს მშრომელმა ხალხმა ჯამი უნდა გაუყუროს გასული მუშაობის შედეგებს, უნდა გადასინჯოს განვლილი გზა, უნდა შეაფასოს წასული საქმეები და ხელახლად უნდა გამოყოს თავის წრიდან თავდადებული, ენერგიული, ქვემარტად მშრომელთა ინტერესების მხურვალე დამცველი ნაწილი და უნდა მისცეს მას დირექტივები მომავალი მუშაობის გაჩაღებისათვის.

გერმანიის ამბები.

საქსონიის მთავრობამ დაადგინა უარყოფითი პოლიტიკის ულტიმატუმი. სახალხო გადაწყვეტილებას გამოიტანს სამშაბათისათვის მოწვეული ლანდტაგი: ეს გადაწყვეტილება კაბინეტმა მიიღო, მთავრობაში მყოფი კომუნისტ-მინისტრების დაუ-სწრეობა.

დრეზდენში ჩაიდინენ პილფერდინგი, ლიტმანი და ზოლმანი. მათი ჩასვლის მიზანია გავლენა მოახდინონ საქსონიის სოც.-დემოკრატებზე ჩამო-სვლების ციკაგერიან თათბირის შემდეგ, საქსონიის მთავრობამ დაადგინა არ შეუდგეს თავდაცვისათვის პრაქტიკულ ზომ

„როსტას“ კორესპონდენტს ბერლინში სარ-მუნერო წყაროებიდან შეუტყვია, რომ კომუნისტ-მინისტრები არ გადადგებიან. კომუნისტებმა წინა-დადება მისცეს მთავრობას მიმართონ გერმანიის პროლეტარიატს მოწოდებით. გამოცხადდეს საერთო გაფიცვა, შედგეს ბრძოლის აღმასრულებელი კომიტეტი მთავრობის ორივე პარტიისა და პროკავშირების წარმომადგენლებისაგან და გაი-გზავნოს ბერლინში დრეზდენის სრულიად გერმანი-ის გაერთიანებულ პროკავშირებთან მოსაზრე-რეკლამა. საქსონიის მთავრობამ უარყოფს ეს წინა-დადება.

„ფორუმერტის“, იხილავს რა შტრეზმანის ულტიმატუმს საქსონიის მთავრობისადმი, მეტად საზივართოდ სთვლის მას. გახეთი, აღნიშნავს რა, რომ სოც.-დემ. მთავრობის წევრები არა მიზანშე-წონილად სთვლიდნენ ულტიმატუმს, წინადადებას აძლევს მთავრობას შეუთანხმდეს სოც.-დემოკრა-ტებს, რადგანაც ბავარიის წინააღმდეგ ბრძოლას, მხოლოდ სოც.-დემ. დახმარებით შეუძლიან გამარ-ჯვება.

მემარჯვენე პრესა აღტაცებით ხედება ულტიმატუმს და მასში ხედავს სოციალიზმისა და კომუნისმის წინააღმდეგ ბრძოლას. მთავრობის პრესა აღნიშნავს, რომ, თუ ციკაგერი წავიდა დათმობა-ზედ, შედგენილი იქნება ახალი მთავრობა, ხოლო თუ ციკაგერი უარყოფს ულტიმატუმს, მაშინ საქსო-ნიის დანიშნება კომისარია, რომელიც თავის უფ-ლებას განამტკიცებს რეისსერის საშუალებით. ფი-ტინგს, რომ კომისიის ადგილს შესთავაზებენ, სოც.-დემოკრატებს, ხოლო თუ მათ უარი სთქვამს, მაშინ—დემოკრატებს.

საბჭოთა არჩევნების დროს ყველაზედ უფრო კარგად უნდა გვჩანდებოდეს თავის საქართველოს მუ-შები და გლეხები, რადგან ყველაზედ უფრო ნათ-ლად აქ სჩანს, რომ ჩვენა ვართ ჩვენი თავის ბა-ტონ-პარტიონი, რომ არც ერთს არა მუშას, არც ერთ მუშათაობას ხელი არა აქვს ჩვენ სახელმწიფო ძალა-უფლებასთან.

თუ წინეთ ვისმეს შეეძლო ეკვის შეტანა, რომ მუშათა კლასი ვერ შესძლებდა სახელმწიფოებრივი სიმძიმის დაძვრას და ქვეყნის მართვა-გამგეობას, თუ წინეთ ვინმე ფილისტერი და მათ შორის სო-ციალ-დემოკრატიაც გაიძახოდა, რომ არც ერთ კლასს დამოუკიდებლად არ ძალუძს ქვეყნის ხელ-მძღვანელობა, დღეს ბრძანათვისაც ნათელი უნდა იყოს, რომ გარეშე პარლამენტარული ლაყბობისა და დოქტრინერთა პათეტიური გერმეტიკულობისა, მუშათა კლასს შესძლება არა თუ ქვეყნის მართვა-გამგეობა, არამედ ქვეყნის აღორძინების გაზრდ დაყენება.

დღეს, უკვე ორი წლის სათანადო პრაქტიკით აღჭურვილებმა, განახლებული ენერგიით უნდა გავ-სწიოთ წინ. ყველა მშრომელი უნდა ჩაებას, საბ-ჭოთა არჩევნებში და ხალხისათა და ზემოთ უნდა შევქმნიოთ ახალი საბჭოები, სიმამრენი მშრომელთა ბატონობისა.

საქსონიის საიმპერიო კომისრათ დანიშნა ყოფილი იმპერიის იუსტიციის მინისტრი, სახალხო პარტიის წევრი—გერნტი, რომელსაც წინადადება იქნა საქსონიის მთავრობაში.

საიმპერიო მთავრობამ გადაწყვეტილება გას-მოიტანა საქსონიის შესახებ ერთხმად. კომისიის დანიშნავს ხმა მისცეს ყველა მინისტრმა სოც.-დემოკრატებმა.

საქსონიის რეისსერის სარდალმა მიუღერმა აღკრძალა სამშაბათისათვის დანიშნული ლანდტა-გის სხდომა, ვიდრე არ მოიწვევს მას ახლად დანი-შნული საიმპერიო კომისარია.

საიმპერიო კომისარმა გერნტმა მიუღერს უბრ-ძანა დახუროს საქსონიაში ყველა კომუნისტური ორ-განიზაცია.

დრეზდენში დაიწყო კომუნისტებისა, სოც.-დემოკრ. და სრულიად გერმანიის გაერთიანებულ პროკავშირების თათბირი. კომუნისტებმა მოითხო-ვეს საერთო გაფიცვის გამოცხადება.

ხენიციის კომპარტიამ და სოც.-დემოკრ. და-ადგინეს მიმართონ დრეზდენის პარტიულ ორგა-ნიზაციებს საერთო გაფიცვის მოთხოვნით. მუშათა განწყობილება გაფიცვის მხარეზედ.

მიუღერის შეტევა მუშათა მთავრობის წინა-აღმდეგ ყოველ დღე უფრო მწვავე ხდება. მან ბრძანება გასცა დაატესლონ საქსონიის მთავ-რობის მიერ დანიშნული კომისრები, რომელთაც ბრალდებათ, ვითომც მათ წინააღმდეგ გააფრთხილეს განზახულ ჩხრეკის შესახებ იარაღის არა ლეგალურ საწყობების პარტიონები.

გერმანიის პრეზიდენტმა, ებერტმა, გამოაქ-ვეყნა ბრძანება, რომელითაც გადააყენა საქსონიის მთავრობა და მისი დიდი მოხელეები.

გერნტმა ციკაგერიისადმი მიწერილ წერილში მოსთხოვა მას მთავრობის გადადგომა. გერნტს ბრძანებით, დრეზდენში რეისსერმა დაიჭირა საქ-სონიის საიმპერიო კომისრები და ლანდტაგის წევრებ-მა და გამოასახლა სახაზინო შენობებიდან ციკა-გერი და სხვა მინისტრები. ციკაგერმა გადასწვი-ტა პროტესტით მიმართოს რეისსერს.

გერნტმა აღკრძალა კომუნისტური გაზეტიების გამოცემა, დრეზდენისა, ხენიციისა, ჰალესისა, ლეიპ-ციგისა და მუდენბურგის.

უკანასკნელი ცნობებით, საქსონიის კომუნის-ტები მოუწოდებენ მუშებს დაუყენებლივ შეიარა-

„ზაქროსტას ცნობები“ 30 ოქტომბრი-დან.

— საქსონიის მთავრობამ უარყოფა შტრეზმანის ულტიმატუმი

— საქსონიის კომუნისტ-მინისტრები არ გადადგებიან.

— საქსონიაში იმპერიის კომისრად და-ინიშნა გერნტი.

— კომისიის დანიშნა საქსონიაში მთავრობამ ერთხმად გადასწყვიტა.

— მიუღერმა აღკრძალა საქსონიის ლანდტაგის სხდომა.

ჭკობის სინდიალიზაცია პილფერდინგს მიჰმან-კაპიტალიზმის აღსასრულად და დღევანდელ ფაქტე-რის შემდეგ არ არსებობს სერიოზული საეკონომიო შემეცნება, რომელიც არ ხედავდეს ეკონომიკაში სოციალიზმის აუცილებლობას კაპიტალიზმის ასეთ დეგენერაციის შემდეგ.

კაპიტალიზმის დეგენერაცია თანამედროვე კულტურის დეგენერაცია, სინდიალის გამეფება, ებ-დემიის გავრცელება, კაცობრიობის დასუსტება. გერმანულ კარტელების მიერ გაჩაღებული ომი ამ მოვლენების კიდევ უფრო გაძლიერება. ავსტრიაში 1915 წელს კლექტი იხილებოდა 63 პრ. ავადმყო-ფების. ვენაში კლექტი იხილებოდა 1914 წელს 6220 კაცი, ხოლო 1915 წელს—7840 კაცი და 1916 წელს—9551 კაცი. ამაზე შორს კაპიტალისტუ-რი წყობილების დეგენერაცია ვეღარ წავა. მაგრამ თანამედროვე მედიცინა ხომ უძლურია სოციალური სწრაფობის მოსპობის საქმეში. ძალზე გავრცელებული ვენერიული ავადმყოფობა, ისპანკა, ხოლერა, შავი ჭირი სპობს ისედაც დასახარებელ კაცობრი-ობას და კიდევ უფრო ამწვავებს იმ კრიზისს, რომელიც კაცობრიობის დასუსტებაში, ფინანსურად დაგვიანებაში, დამწვრებასა და გაღატაკებაში გამო-იხატა.

ნუ თუ კვლავ გავრცელდება და განვითარდება კაპიტალიზმის დეგენერაცია? მაგრამ ეს მხოლოდ იმ პირობებში შეიძლება, რომ კაცობრიობის სიცოცხლე მართლა შეიძლება თანამედროვე ძვირის და უხედურების სამუდამოდ შერყენით. თანამედროვე კაპიტალისტური ომის ტვირთი, ვა-კები და უსწორ მასშობა უნდა მოისპოს, კაცობ-რივად ვეღარ გაივას კიდევ მსხვერპლს, ის კი-ეგვ მეტ გავრცელებას ვერც მოითვს, არც მოით-ქნის და აღარც ითმნის. თანამედროვე რევოლუ-ცია ნიშნავს კაპიტალიზმის დეგენერაციის მოსპო-ბას, ეს ნიშნავს კაპიტალიზმის გაუქმებას, ეს იქნება უდიდესი თანამედროვე კულტურული აქტი, ეს იქ-ნება დაწვა ტრესტების თამაშებისა, ვალების გა-უქმება, სინდიალის მოსპობა და ეკონომიური კულ-ტურის მართლა განახლება. სხვა გამოსავალი არ რსებობს. ან სოციალიზმი ან კაცობრიობის გადა-ენება!—ასე სდგას საკითხი და ჩვენი ქვეყნისა და გაიმსკვალოს საკითხის ასე დაყენების აზ-რით.

სოციალიზმის საკითხი ჩვენი სურვილების სა-ნი როდია. კაპიტალიზმი უნდა დანგრეს თვით კონომიური კულტურისათვის, ის გამოუვალ მდგო-მარეობაში ჩაყარდა, მისი ვალების და სიმძიმის ტანა გაუკოტრებლად არავის შეუძლია. კაპიტა-ლიზმის გაკოტრება კი სოციალიზმის დასაწყისია სუბიექტურად ხომ სოციალიზმს ადვილად შე-

— მიუღერის შეტევა საქსონიის წი-ნაღმდეგ ყოველ დღე უფრო უტოფარ-ხდება

საქსონიის რეისსერმა დაიჭირა სა-მინისტროები და ლანდტაგი.

კომუნისტები მოუწოდებენ მუშებს შეიარაღებისაკენ რეისსერთან საბრძოლ-ველად

— პოლონეთში სამშაბათს განზრახუ-ლია საერთო გაფიცვის გამოცხადება

— ბოლგარეთის კომპარტია ბოიკოტ უცხადებს არჩევნებს.

— ჰოლანდია ს მთავრობა გადადგა.

— გაიხსნა ესტონეთ-ლათვიის კონფე-რენცია.

უძლიან იმ ქონების მიღება, რომლებიც აქციონე-რული ამხანაგობების, კარტელების და ტრესტების სახით კაპიტალიზმში მიიღეს კოლექტიური მერნე-ობის სახე, სადაც ოდნავადაც აღარ სჩანს პროფ-ნება, სადაც მხოლოდ მისსა, ფასიან ქალაქების პატრონები იყვნენ და ისიც უტოც ქვეყნებში.

ჩვენ არას ვამბობთ კოლონიალის დიდ ფედერ-აციებზე, არას ვამბობთ პროლეტარულ სინდია-ტებზე, ტრედ-უნიონებზე, დიდებულ პროფესიონა-ლურ კავშირებზე, საქარხო კომიტეტებსა და ბუმ-ბეიას სოციალისტურ პარტიებზე, სადაც თავმოყ-რილია მილიონობით შეგნებული მასსა პროლეტ-არიატისა. ნუ თუ სუბიექტურად ეს დიდი ძალა არ არის ძალა სოციალიზმისა, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში არსებობს და ჩვენც ამიტომ ვამბობთ: დღეს, კაპიტალიზმის აგონიის ხანაში ობიექტურად და სუბიექტურად არის დიდი მასა-ლა სოციალიზმისაკენ პრაქტიკული ნაბიჯებისათვის და როგორც ამ ნაბიჯებშია, ხსნა თანამედროვე სოფლიოს, თანამედროვე კაცობრიობის და კულ-ტურის, ისე სოციალიზმშია ხსნა საქართველოს რესპუბლიკის, ქართველი ხალხისა.

საქართველოში დემოკრატია თანამედროვე სო-ციალურ უმედურებას თავს ვერ დააღწევს, თუ სა-მუდამოდ არ გამოეთხოვა კაპიტალისტური პოლიტი-კას, თუ დეგენერაციის სფერო არ შესცვალა სო-ციალიზმის სფეროდ, ერთი სიტყვით თუ კაპიტა-ლიზმთან სოციალიზმისაკენ არ გადავდგებით ნაბი-ჯი. დაბს ეს მიმე საქმე, მაგრამ უნდა ვსთქვათ: ისე დიდია გაქრება, ისე დანგრეულია ყველგვე-რი, რომ ამ სოციალური ტალახიდან ამოსვლა შე-უძლებელია ერთხმად, ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა და ენერგიაა საქარე ქვეყნის გადასახალისებლად, ბოძოლა სოციალური. ათასი კონსტრუქცია რომ შევიმუშაოთ, ათასი მთავრობა რომ შევადგინოთ ვერც ერთი მთავრობა ვერ მოგვარებს სახელმწი-ფოს და სახალხო საქმეებს. თუ რევოლუციონერუ-ეკროპასთან ერთად არ მოვსებთ კაპიტალიზმს. ჩვენი ხსნა სოციალიზმშია, სოციალისტური მოძრა-ობაში, სოციალისტურ რევოლუციაში, და აქვეა ასახსნელი იმ „ოჟ“-სი, რომელიც ამოცანის სახით წარმოგვიდგება ამ წერილის თავში.

ევროპის დემოკრატისათვის უკვე აშკარა ეს-გზა და ის ანგრეს კიდევ უნდობლობის იმ კე-დელს, რომელიც სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის აღიმართა 1848 წელს. ბურჟუაზიის აღორა-ვინ ენდობა 1871 წლის შემდეგ, აღორავინ ენდობა ამ ომის შემდეგ და ამ უნდობლობით კაცობრიობის მთელი დემოკრატია უნდა გაიმსკვალოს დეგენერა-ტიულ კაპიტალიზმის მოსახლად. ეს არის კაცობ-რიობის ხსნა, აქვე არის ხსნა საქართველოს კულ-ტურისა.

თედო დღონაძე.

დგისაჲს რეისერის შერტეფსთან საბრძოლველად.

მთავრობის ოფიციალურ ცნობაში, ნათქვამია, რომ, უკანასკნელ ხანებში, პრესაში გატარებული აზრი, ენთიმე ცენტრალური მთავრობა უფრო კეთილის თვალთა უფროსად უნდა იყოს, ვიდრე სახელმწიფო წინააღმდეგ კი ენერგიულ ზომებს იღებს, არ არის სწორი, რადგანაც საქსონიის მთავრობა არღვევდა ქვეყნის მშვიდობიანობას, ხოლო ბავარიის „საქმე წმინდა კონსტიტუციონურ უთანხმოებას შეეხება“.

ბავარიის მთავრობას აქამდე პასუხი არ გაუცია ცენტრალურ მთავრობისათვის იმ უთანხმოებაზე, რომელიც მოჰყვა გენერალ ლოსოვის გადაყენებას.

დღეს დანიშნულია ბავარიის კაბინეტის სხდომა ცენტრალურ მთავრობის წინაშე გადსახილველად.

პასუხი ნოტაზედ ერთ კვირაზედ ადრე არ იქნება, რადგანაც ბავარიის მთავრობას განზრახუ-

ლი აქვს გამოარკვეოს კითხვა, აპირებს ცენტრალური მთავრობა ბავარიის სააღიარო წესების გაუქმებას და დიქტატორის კარას და ლოსოვის თავიანთ ადგილებზედ დატოვებას, თუ არა ბავარიისადმი მიმართულ ნოტას არ ჰქონია ულტიმატუმის ხასიათი.

საბჭოთა რესპუბლიკებში.

მოსკოვი. ყოფილ ზიმონის თეატრში ამ. ბუხარინისა, ტროცკისა, ზინოვიევისა, კლარა ცეტკინისა, კოლაროვისა, ბელაკუნისა და სხვ. მონაწილეობით შესდგა რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის 5 წლის იუბილეს ზეიმი, სხდომას კომპოზიციის ცეკს მიღივნი ამ. ვასილუტინი, რომლის წინადადებითაც ამ. ლენინს გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც არწმუნებენ, რომ ახალგაზრდა კომუნისტები შემდგომაც მტკიცედ დაიცვენ მტრებს.

უცხოეთი

გარშავა. (პოლონეთი) სამშაბათს განზრახულია მთელს სახელმწიფოში საერთო პოლიტიკური გაფიცვის გამოცხადება.

გარშავა. კრაკოვში გამოცხადებულა საერთო გაფიცვა.

გარშავა. ლოდის რაიონში, და აგრედე დომბროვოსა, კრაკოვსა და ჩენსტოხოვში გრძელდება გაფიცვები. რკინის გზელთა გაფიცვამ მოიცვა ყველა ხაზები. რკინის გზელთა მოთხოვნებიდან უარყო მთავრობამ, რომელმაც ლოვოსა და კრაკოვში გამოაცხადა რკინის გზელთა მოთხოვნათა სამხედრო სამსახურში. ამ დღეებში ელიან რკინის გზელთა მოთხოვნათა ვარშავის რკინის გზაზედაც.

გარშავა. მთელს სახელმწიფოში ერთდებთან შტრეიკებერთა ორგანიზაციების წევრები. უნივერსიტეტის ახლოს მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, სადაც მოითხოვდნენ შტრეიკებერთა მუშაობაში სტუდენტების მონაწილეობის აღკვეთას.

გარშავა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ფრანკმა გამოსცა საიდუმლო ცირკულიარი, რომლითაც უბრძანებს გაფიცულებთან ბრძოლაში იარაღის ხმარებას.

ვენა. სოფლის (ბოლგარეთი) პროკურატურამ წინადადება მისცა სამმართველოს გამოძიებულთ, კომუნისტურ ორგანიზაციების პრეზიდენტის წევრები განიხილონ, როგორც ჩვეულებრივი ბოროტ მოქმედნი.

ოაიწყო ახალი პროცესი 47 კომუნისტისა და და გლეხთა პარტიის წევრისა, რომელთაც ბრალდებათ აჯანყებაში მონაწილეობა.

ვენა. ბოლგარეთის მთავრობის პრესის ცნობით, ბოლგარეთის კომპარტიამ დაადგინა, ბოიკოტი გამოუცხადოს არჩევნებს.

ვლადივოსტოკი. 24 ოქტომბერს, იაპონიაში ცეცხლის მფრქვეველმა მთამ მიკარამ დაიწყო უშველელ გატყეველ ქვების ამოსროლა.

ლონდონ. პაგიდან მიღებულ ცნობით, პოლანდიის მთავრობა გადადგა. პარლამენტის მიერ სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად კრედიტზედ უარის თქმის გამო. ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ფინანსთა მინისტრს გეტტს.

პრაგა. (ჩეხო-სლოვაკია) „რედუ პროფ“-ს ცნობით, ჩეხების მრეწველნი იმუშავენ „მოხალისეთა ორგანიზაციის“ პროექტს, გაფიცვების ჩასაშლელად.

მელნიფორსი. (ფინეთი) პრესის ცნობით, ფინეთმა ინგლისისაგან სესხი 40 წლის ვადით 1 მილ. გირვ. სტერლინგი.

რეველი. ხუთშაბათს გაიხსნა ესტონეთ-ლათვიის კონფერენცია. დღიურ წესრიგში სდგას: საზღვრების საკითხი, სამხედრო ხარჯების დაფარვა, სავაჭრო ხელშეკრულება და საერთო პოლიტიკური საკითხები.

— ხამი მილიარდი მან. დეკარგა. 27 ოქტ. ზემო ავგალის პილოტ-ელექტრონის სადგურის სალაროდან დეკარგულია სამი მილიარდი მანეთი.

— ქუჩაღობა. 27 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. შატნიკოვის ბინა, მცხ. ჩერქეზიშვილის ქ. № 96-ში საიდანაც წაღებულა სხვა და სხვა ნივთები.

— ბინის გაქურდვა. 27 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. ანა ფელიტინის ბინა, მცხ. სადგურის ქუჩა № 22 ში, საიდანაც წაღებულა სხვა და სხვა ნივთები ღირებული ორ მილიარდ მანეთისა.

— ქუჩაღობა შეპყრობა. 27 ოქტ. შეპყრობილი იქნა მოქ. ვასილ შტეტინი, რომელსაც ბრალი ედება მცხ. და სხვა ქურდობაში.

— განათლების მუშაობა სახლში. 30 ოქტომბერს სალ. 7 საათზე სომხურ ენის მასწავლებელთა წრის კრება. ოქტომბრის 30-ს, სალ. 7 საათ. მათემატიკის მასწავლებელთა წრის კრება სომხურ ენაზე. 30 ოქტ. სალ. 7 საათ. საზოგადო განათლების წრის სხდომა სომხურ ენაზე. 1-ლ ნოემბერს, სალ. 7 საათ. მოხსენება პეტრაშევისკის: ბუნებისმეტყველების ახალი მეთოდები და მათი პრაქტიკული გამოყენება მოსკოვსა და პეტროგრადში.

1-ლ ნოემბ. სალ. 7 საათ. დანიშნულია დოქტორის ლაბარატორიის მეთოდის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა. განსაკუთრებული თხოვნა დაესწრონ ისინი, ვინც გაეცნობილა ამ საკითხის თეორიულად და პრაქტიკულად. 1-ლ ნოემ. სალ. 6 საათ. ქართულ ენის სწავლება არა ქართულ სკოლებში. 2 ნოემბ. სალ. 7 საათ. ქართულ სკოლებთან არსებულ საბავშვო ბაღის ხელმძღვანელთა კრება.

9 ნოემბ. სალ. 7 საათზე რუსული ენის მასწავლებელთა წრეში—თემა: ფონეტიკა, როგორც ფორმალურ გრამატიკის განყოფილება. 14 ნოემბ. სალ. 7 საათზე საზოგადო განათლების რუსული წრის სხდომა. რაიადგილკომებს წინადადება ეძლევა განსაკუთრებით ფართოდ აცნობონ ყველა ტექნიკურ თანამშრომლებს, რომ 1-ლ ნოემბერს სალ. 5 საათზე დაიწყება მეცადინეობა ქართულ ენაზე პოლიტწრეში.

— ვალუტის კუჩხი.

30 ოქტომბერი.	
ჩერვონეცი	92,000 მ.
სტერლინგი ეფექ.	89,300 „
ჩეკი.	69,000 „
დოლარი ეფექ.	20,500 „
ჩეკი.	19,000 „
ოსმალური ლირა	10,500 „
საბჭოთა ფული	13,000 „

ბოლშევიკები

საკანდიან ოზურგეთში.

(გაგრძელება)

კოტა ხნით ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ ჩემმა თანამგზავმა დაარღვია და დაიწყო:—„დღივ ხანი არაა რაც ქალაქიდან ჩამოვედი. შეიღო მყავს იქ და იმის სანახავად ვიყავი. მეგონა სამსახურში იყო და თურმე შრომის ბირგავში ჩაწვილი და უცდის რამდენი ხანი. ადგილი კი არაა. ჩემი მეზობლები ბევრი ენაზე ასეთ მდგომარეობაში და გაკვირვებას ვარ, რატომ იზიდავს ქალაქი ასე ადამიანს. ბირგავში ყოველ დღიურ უსაქმოდ ყუჩუქს ის არ ურჩევია, სოფელში მოიკადოს და ოჯახს მიხედოს? არა, მაინც მაინც ქალაქში სიმშენი ურჩევია სოფელში ხელის განძრევას და სუფთა პატივს მუშაობას. ფულის შოვნა, რასაკვირველია, უპირველესი მიზანია ქალაქში სამუშაოს მაძიებლებისათვის, მაგრამ აქ სხვა მიზეზიც უნდა იყოს, პირველი შეხედვით შეუმჩნეველი, მხოლოდ ვინც სოფელის სულში ჩაიხედავს, ის ამ სხვა მიზეზსაც დაინახავს უსათუოდ.“

დღევანდელი ადამიანი, თავისი სულიერ თუ ფიზიკურ განცდათა და შთაბეჭდილებათა რაოდენობით მეტად ბევრს ცოცხლობს, ვიდრე ლეგენდალური სათუასლა, რომელმაც ათასი წელი იხანკალა დედამიწაზე. დღევანდელი ერთი საათის შთაბეჭდილებანი სინამდვირეაფილ ლენტეხზე გადაღებული სურათების ხილვით, სხვა და სხვა ლექსების თუ მოხსენებების მოსმენით, ავტომობილის თუ პერეპლანის ელვისებური სისწრაფით მოგზაურობით და სხვა მრავალი ამისთანებით, უწინდელ ადამიანის მთელ ხანგრძლივ სიცოცხლეში მიღებულ შთაბეჭდილებათა რაოდენობის ჯამს აღემატება და სწორედ ამისთვის მოგასწენებ, რომ დღევანდელი სიცოცხლე ადამიანის წლიანობის რიცხვით, უწინდელთან შედარებით ძალიან მცირეც რომ იყოს, შთაბეჭდილებათა და განცდათა რაოდენობით მეტი მიდიარია და შინაარსიანია.

თვითმპყრობელობის ბოკილები, მასთან ბრძოლაში დაღუპული სიცოცხლეები, 1905 წლის დამარცხებული რევოლუცია. ოქტომბრის გადატრიალება, მენშევიკების გამოთიშვა, უკეთ რომ ესაუკეთა, ღალატი და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება..... აი, როგორი სისწრაფით დატრიალდა ჩვენი თვალის წინ აზვებოთებული ცხოვრების ჩახიხი და..... ყველაფერი ეს გუშინდელი ამბავი გაგონია. შთაბეჭდილებათა სწრაფ ცვალებადობას იმდენად შეგვიფიქრო, რომ მუშათა და გლეხთა ინტერესების სრული გამოხატველი და დამცველი საბჭოთა მთავრობა რომ არ მოგვევლინებოდა, ჩვენც წერტილს არ დავსვამდით და აბოპოკრიფულ ცხოვ-

ახალი ამბავი

— საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა კონფერენცია გაიხსნა ოქტომბრის 28-ს სასახლის დარბაზში საღამოს 8 საათზე, რომელზედაც საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან დაესწრა 110 დელეგატი 5500 ამომარჩევიდან წარმომავლნი. ყრილობა გახსნა საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარემ ცინცაძემ, რომლის შემდეგ ყრილობას მიესალმნენ სხვა და სხვა ორგანიზაციები. ყრილობა გასტანს რამდენიმე დღეს.

— შოფერის დატყუალება. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით: სამი კვირით დაპატიმრება მიესაჯა შოფერ ხუციშვილს, ქალაქში ავტომობილის ჩქარი წაყვანისათვის.

— ხაზამთრო ტანისამოსი და ფეხსაცმელები მილიციის თანამშრომლებს. ქ. აღმასკომმა დაადგინა: შეძენილი იქნას მილიციის თანამშრომლები სათვის საზამთრო ტანისამოსი და ფეხსაცმელები, რისთვისაც გადაღებული იქნა 32.084 მან. ჩერვონეცებით.

— ღარიბი გლეხების უფასო წამლობა და ექიმობა. თანახმად წილკანის რაიონის მცხოვრებთა შუამდგომლობისა, აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას, რათა უფასოდ საექიმოდ აიყვანოს თავის საავანტურფოში წალკის რაიონის უღარიბესი და ავანტურფი გლეხები.

— მიწის ძვრა. 28 ოქტ. ღამით ბათუმში შემჩნეული იქნა მიწის ძვრა, რომელიც გაგრძელდა იქნა 5 წუთი.

— აგარაკი ახტალა. ამ ქაშად სწარმოებს აგარაკ ახტალის ნაწილობრივი შეკეთება.

— ხანტი. განათლების ხაზის გახსნა. 6 ნოემბერს დიდი ზეიმით გაიხსნა ხანტი-განათლების სახლი.

— რძის მომარაგება. ა. კ. მომარაგებელ საზოგადოების კოოპერატივმა რძით მომარაგების მიზნით განიზრახა აღექსანდროპოლში დაარსოს მერქვეთა ფერმები.

— დაწვევულ მუშებისათვის. ა. კ. მომხ. საზ. კოოპერატივის მიერ როსტოვში გაგზავნილ წარმომადგენლებმა შეატყობინა, რომ მის მიერ შეკვეთილი ფართილელობა ა. კ. დაწვევულ მუშებისათვის მალე ჩამოტანილი იქნება 3 ვაგონით.

— პურის საცხოვრებელი რკინის გზის მთავარ პუნქტებზე. ა. კ. რკინის გზის კოოპერატივთა კავშირი ხსნის მთავარ პუნქტებზე პურის საცხოვრებელ რკინის გზელთათვის.

— ღარიბების წამლობა კვირეულში. სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა 30 ოქტ. მიწერილობები დაუგზავნა ზუგდიდის, შორაპნის, ახალციხის, ბორჩალოს, და სიღნაღის მაზრის, საერთოერთო გლეხთა დამხმარე კომიტეტებს სოც. უზრ. საქმეზე მოსახმარ ფონდის საშუალებების გასაძლიერებლად.

— ბრძოლა მაღარი წინააღმდეგ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა მაღარიასთან საბრძოლველად მიმდინარე წელს პროვინციაში გაგზავნა სპეციალური ექსპედიცია.

— უცხო ენების კურსები. განათლების კომისარიატი ახლო მონაგვლში ხსნის უცხო ენების კურსებს. ფრანგული, ინგლისური, და გერმანული სას. კურსებთან იქნება აგრეთვე ენების პრაქტიკულად შესწავლის განყოფილებები. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე საღამოს 5-დან 6 საათამდე. კურსების კანცელარიაში გუზინის ქუჩა № 46.

— სახელოსნოები საბავშვო სახლებთან. განათლების კომისარიატის სასკოლო პასაჟმდე აღორდის განყოფილება შეუდგა საბავშვო სახლებთან სახელოსნოების მოწყობას.

— პოლიგრაფიული მრეწველობის ხელშეწყობა. განათლების კომისარიატთან არსებულ მუშათა ფაქულტეტების განყოფილება, აწყობს პოლიგრაფიულ განყოფილებასთან ერთად ტფილისში, პოლიგრაფიულ მრეწველობის საქარხნო საფაბრიკო შეგიერთა სკოლას ქართულ და რუსულ განყოფილებებით.

— დაქრა. 28 ოქტ. გოგოლის ქუჩაზე ჩხუბის დროს მოქ. აღაჯანოვმა მიმედ დასჭრა მოქ. რასოვი, რომელიც გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— ციხელი. 27 ოქტ. ჩერქეზიშვილის ქ. № 157 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მცხოვრებთა ენერგიულ ზომებით დროზე იქნა ჩაქრობილი.

ვრების ტალღებთან შედეგად და შეუპოვარ ბრძოლაში, ვინ იცის, კიდევ რამდენი ახალგაზრდა სიცოცხლე თავისი სიცოცხლე დაუთმოა ჩემოთა გონივრით დილუპებოდ, მათგან ლეიფ სანდისონი, ვინ ფერს ვხედავთ? საჭმელთა მანქანის წამსკივების თან ერთად მეტი-ფართო სასაზღვრო ტიპის პაროვანების, საზოგადოების თუ ერის თვითმოქმედების ნათვითცნობიერების და განვითარების შესაძლებლობას.

საბჭოთა მთავრობის იდეური, თუ მორალური გავლენა იმდენად დიდი ღირსა, რომ ბევრი „შეუთრებლების“ რიგები დაიშალა და როგორც ბუნებრივად გვერდში ამოუდგა მას. ამ გავლილ ქარტეხილში სოფლისა და ქალაქის მუშები ერთმანეთს ერთი წუთითაც არ ჩამოშორებულან: ერთად იბრძოდნენ, ერთი გზით მიდიოდნენ. რასაკვირველია ქალაქის მუშები, როგორც უფრო განვითარებული და რევოლუციონერული მეტად განწყობილი. ახალ ცხოვრების შესაქმნელ ბრძოლაში, ინიციატივას ხელისა და უშველებდნენ მაგრამ, ზომ მოგვსენებდნენ: კარგ მოქმედს, კარგი გამგონე უნდა, და ჩვენც კარგი გამგონე ვიყავით. დღეს კი ქალაქისა და სოფლის მუშები საერთო აღმშენებლობითი მუშაობაში ერთნაირად ვართ ჩამხლები და თავთავისი წვლილი ყველა ჩვენგანს შეაქვს საერთო მუშაობა-გლეხურ საქმიანობის საღაროში.

ქალაქის მუშები, როგორც წელიწად მოგახსენებ, უფრო მეტი განვითარებული არიან, ცხადია უფრო შეგნებული და სიადვილით სწვდებიან ყველა იმ კითხვების ახსნა-განმარტებას, რომელი კითხვებიც, დღეს, რევოლუციონერ ქარტეხილის მსგავსობაში, მეტი სიზარტყით და იმეფ დროს მეტი სირთულით დგება ჩვენს წინა, აი, სწორედ აქ არის ჩვენი, სოფლელებისათვის ქალაქის მუშების მდგომარეობა სახარბილო. ჩვენ სოფლელებს „სული“ გვტყავს. და ეს ტყვილი ყოველგვარ სიშიშვლეს სიცივეზე და შიშვლეს უარესი ყოველი. დანგრეული ეკლესიების ნაცვლად სახალხო სახლები და თეატრები ავაგეთ. ეკლესიის ქურუშები, მღვდლები ანაფორა გახდნენ გვერდში ამოვიყენეთ თოხით, ბარით, წაქატი. მრავალ ცრუ მოწმუნებობისაგან, ასე ესტუმრათ განვიკურნეთ საბჭოთა მთავრობის ხელში, მაგრამ... აფეთქებული ღმერთების მაგიერად ჯერ ჩვენ, სოფლელებს არავფერი მიგვიღია. მრავალ ფეროვანი ბუნება თავისი ხილულ და უხილავ ძალთა მოვლენებით, მთელი სამყარო, მასზე წარმოშობილი სიცოცხლით და მრავალი სხვა კითხვები რომლებსაც ქალაქის მუშები ლეკვებით, წიგნებით თუ ამხანაგებთან საუბრით ეცნობიან, ჩვენთვის, სოფლელებისათვის, ისეთივე საიდუმლოებრივი ბურუსით არის მოცული, როგორც იყო რამდენიმე წლის წინად. ცრუმორწმუნებრივი ღმერთი, ბატ და ეშმაკი მართალია გამოვდნენ გონებიდან მაგრამ ის „სიკალიერე“, რომელსაც ვგრძნობთ ჩვენს არსებაში დღეს, იმას ამოვსება უნდა. გახეთქილი ხშირად სწერენ სოფლის მიზეზდროთ, მაგრამ სულში არაფერ არ ჩავხედვა. სწერენ მხოლოდ... მხოლოდ სწერენ... ჩვენი „სულის რკივლები კი ჩერვონეცის კურსივით მაღლა მაღლა იწეეს. სახალხო სახლებში წარმოდგენებს მართავენ, მაგრამ ბევრი დამსწრეთაგანმა არც იცის თეატრის მნიშვნელობა მოდის ისე „სიერის“ საყურებლად და „ნაგობრობაზე“, რომ „კომუნდინიკები“ ატყუებდნენ ათას ნაირი ფოკუსებით ხალხს, აი სწორედ იმ „კომუნდინიკებისაგან“ ვერ არჩევნ გრიმ გაკეთებულ სცენის მოყვარეს.

ნელა იქნება დამეთანხმეთ, კოტა ყოყმანი წარმოშობს ქვე ჩემმა თანამგზავმა, რომ სოფელი ლტოლას ქალაქში სხვა მიზეზებს გარდა ეს „სულის რკივლი“ „სულის ტყვილი“ უნდა დაუდგათ სარჩლოთ. ქალაქში ის თუ საფხვითი ფესპობს, მაინც ანელებს ამ ტყვილებს. ის ლაპარაკით გატაცებული მე კიდევ მისი სმენით და შემეჩვენვალ გავლენა გზამ შეგვიყვანა ქალაქში, სადაც მე და ჩემი თანამგზავრი სხვა და სხვა საქმეზე და ადგილას მიმავალნი დავმშვიდობებთ ერთმანეთს.

(შემდეგი იქნება)

ton.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელს ნომერში, დღიურის ბოლოს მოცული სიტყვები: „აღგლობრივი ძალები, მაგრესიც საოცნებოდ დაგვიჩა“ უნდა იყოს ფერტონის მესამე სვეტის ბოლოს.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაზეთი „ბ რ ი ზ უ ნ ა“
ნომერის 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად	7.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	9.000.000 „
ცალკე ნომერი	500.000 „